



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 345

7 დეკემბერი
“ --- ” ----- 2018 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის“ (ს/ნ: 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122¹ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის“ (ს/ნ: 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 17 ოქტომბრის №18.840.1207 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის“ (ს/ნ: 204546045) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე